

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა

და

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას

შორის

ფინანსური თანამშრომლობის შესახებ

(2008-2009)

საქართველოს მთავრობა
და
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა -

საქართველოს და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების სულისკვეთებით,

ესწრაფვიან რა, განამტკიცონ და გააღრმავონ მეგობრული ურთიერთობები პარტნიორული ფინანსური თანამშრომლობით,

აცნობიერებენ რა, რომ ამ ურთიერთობების შენარჩუნება ამ შეთანხმების საფუძველს წარმოადგენს,

მიზნად ისახავენ რა, ხელი შეუწყონ საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას,

განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ 2008 წლის 13-15 მაისს ქ. ბონში გამართულ სამთავრობო მოლაპარაკებებზე დაყრდნობით

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

(1) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მთავრობას, ან ორივე მთავრობის მიერ ერთობლივად შესარჩევ სხვა მიმღებ მხარეს, რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისგან (KfW) მიიღოს

1. KfW-ს სესხი, რომელიც გაიცემა განვითარების მიზნით თანამშრომლობის ფარგლებში მაქსიმუმ 45.000.000,- ევროს (სიტყვიერად: ორმოცდახუთი მილიონი ევრო) ოდენობით პროექტისათვის "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია II" იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად დადგინდა პროექტის დაფინანსების მიზანშეწონილობა, თუ მომავალშიც უზრუნველყოფილი იქნება

საქართველოს კრედიტუნარიანობა და საქართველოს მთავრობა გასცემს სახელმწიფო გარანტიას, იმ შემთხვევაში, თუ იგი თავად არ წარმოადგენს სესხის მიმღებს;

2. ფინანსური დახმარება მაქსიმუმ 1.000.000,- ევროს (სიტყვიერად: ერთი მილიონი ევრო) ოდენობით "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებისთვის საჭირო თანმდევი ღონისძიებებისათვის, ფაზა II";
3. დამატებითი ფინანსური დახმარება მაქსიმუმ 4.000.000,- ევროს (სიტყვიერად: ოთხი მილიონი ევრო) ოდენობით პროექტისთვის "ეკორეგიონალური პროგრამა - საქართველო, ფაზა III" იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად დადგინდა პროექტის დაფინანსების მიზანშეწონილობა და დადასტურდა, რომ ის, როგორც გარემოსდაცვითი პროექტი აკმაყოფილებს ფინანსური დახმარებით ხელშეწყობის განსაკუთრებულ წინაპირობებს.

(2) პირველი პუნქტის პირველ ქვეპუნქტში აღნიშნული თანხმობა შეცვლის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ 2007 წლის 24 ივლისის შეთანხმების (2006-2007) პირველი მუხლის, პირველი პუნქტის, პირველი ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანხმობას.

(3) პირველ პუნქტში ჩამოთვლილი პროექტები შეიძლება შეიცვალოს სხვა პროექტებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის შეთანხმების საფუძველზე. პირველი პუნქტის პირველ ქვეპუნქტში აღნიშნული სესხი არ შეიძლება შეიცვალოს სხვა პროექტით.

(4) იმ შემთხვევაში, თუ მოგვიანებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მთავრობას მიიღოს დამატებითი სესხები ან ფინანსური დახმარებები პირველ პუნქტში ჩამოთვლილი პროექტების მომზადებისა და განხორციელების მიზნით, ან KfW-საგან მიიღოს დამატებითი ფინანსური დახმარებები პროექტების განხორციელებისა და მომსახურებისათვის საჭირო თანმდევი ღონისძიებებისათვის, მაშინ ასევე გამოყენებას ჰპოვებს წინამდებარე შეთანხმება.

(5) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ აცნობა საქართველოს მთავრობას რეგიონალური ფინანსური დახმარების ფარგლებში პროექტისათვის „ეკორეგიონალური პროგრამა – კავკასია, ფაზა III“, 1.000.000,- ევროს (სიტყვიერად: ერთი მილიონი ევრო) ოდენობის თანხის გამოყოფის შესახებ. ამ პროექტისათვისაც გამოყენებული იქნება წინამდებარე შეთანხმების მე-3, მე-4 და მე-5 მუხლები.

(6) პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსამზადებელი და თანმდევი ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ფინანსური დახმარება შეიცვლება სესხით, თუ ის არ იქნა გამოყენებული ასეთი ღონისძიებებისათვის.

მუხლი 2

(1) პირველ მუხლში აღნიშნული თანხების გამოყენება, მათი გამოყოფის პირობები, ასევე შემსრულებლისათვის პროექტის განხორციელების დაკისრების პროცედურა განისაზღვრება რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და სესხისა და ფინანსური დახმარების მიმღებ მხარეებს შორის დასადები ხელშეკრულებებით, რომლებიც რეგულირდება გერმანიაში მოქმედი კანონმდებლობით. თუ რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და სესხისა და ფინანსური დახმარების მიმღებ მხარეებს შორის დასადები ხელშეკრულებებით სხვა რამ არ განისაზღვრება, მაშინ გამოყენებას კპოვებს რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შესყიდვისა და გადახდის მოქმედი დირექტივები.

(2) პირველი მუხლის, პირველ პუნქტში აღნიშნული თანხების გამოყოფაზე თანხმობა უქმდება, თუ თანხმობის გაცემის წლიდან 8 წლის განმავლობაში არ გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები სესხებისა და დაფინანსების შესახებ. ახალი თანხმობებისათვის ეს ვადა იწურება 2016 წლის 31 დეკემბერს.

(3) საქართველოს მთავრობა, იმ შემთხვევაში, თუ იგი თავად არ არის სესხის მიმღები, უზრუნველყოფს რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მიმართ ყველა სახის ანგარიშსწორების ევროში განხორციელებას, ასრულებს რა სესხის მიმღების ვალდებულებებს პირველი პუნქტის მიხედვით დასადები ხელშეკრულებების საფუძველზე.

(4) საქართველოს მთავრობა, იმ შემთხვევაში, თუ იგი თავად არ არის ფინანსური დახმარების მიმღები, უზრუნველყოფს თანხის დაბრუნების თაობაზე რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შესაძლო პრეტენზიების დაკმაყოფილებას, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას პირველი პუნქტის მიხედვით დასადები დაფინანსების ხელშეკრულებების საფუძველზე.

მუხლი 3

საქართველოს მთავრობა ათავისუფლებს რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს ყოველგვარი გადასახადისა და სხვა ოფიციალური მოსაკრებლისაგან, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოში მე-2 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებასთან.

მუხლი 4

(1) საქართველოს მთავრობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრებით დაფინანსებული ფირმებისაგან და ექსპერტებისაგან საქონლის მოწოდებისა და სხვადასხვა სამუშაოების შესრულებისას ამ შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე პროექტების განხორციელებისას არ ამოიღებს პირდაპირ გადასახადებს (მეტადრე საშემოსავლო, მოგების და სხვა სახის პირდაპირ გადასახადებს) და სოციალურ მოსაკრებლებს.

გადასახადებისაგან გათავისუფლება არ ეხებათ:

- ფირმებს, რომელთა საქმიანობისა და რეგისტრაციის ან მართვის ადგილი საქართველოშია,
- უცხოურ ფირმებს, რომლებიც 2000 წლის OECD-სამოდელო ხელშეკრულების (შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ) მე-5 მუხლის შესაბამისი პრინციპების გათვალისწინებით საქართველოში წარმოადგენენ ან განიხილებიან როგორც უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება, საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც არ ფინანსდება ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში გამოყოფილი სახსრებით,
- ადგილობრივ თანამშრომლებს, გარდა წარმოგზავნილი (გერმანელი ან უცხოელი) სპეციალისტებისა.

(2) არაპირდაპირი გადასახადების ნაწილში (მათ შორის აქციის გადასახადის) საქართველოს მთავრობა გარანტიას იძლევა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრები, რომლებიც ითვალისწინებს ამ შეთანხმების ფარგლებში განსაზღვრული პროექტების სასარგებლოდ სხვადასხვა სახის სამუშაოების შესრულებისათვის და საქონლის მოწოდებისათვის ფირმებისა და ექსპერტების დაფინანსებას, არ იქნება გამოყენებული ამ პუნქტში დასახელებული გადასახადების დასაფარავად.

(3) გამომდინარე იქიდან, რომ წინა პუნქტის შესაბამისად აღნიშნული სახსრები არ უნდა იქნეს გამოყენებული არაპირდაპირი გადასახადების დასაფინანსებლად, საქართველოს მთავრობამ წინასწარ უნდა გამოყოს თავისი ბიუჯეტიდან შესაბამისი სახსრები. რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი დასაბუთება. საქართველოს მთავრობამ უნდა აანაზღაუროს წინამდებარე მუხლის დარღვევით ამოღებული შესაძლო გადასახადები.

(4) საქართველოს მთავრობა ათავისუფლებს იმ მასალების, დანადგარების და დამხმარე მასალების იმპორტს, რომელთა შემოტანა საქართველოში შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე ხდება ამ შეთანხმებით დაფინანსებული პროექტების მიზნების მისაღწევად, ყოველგვარი გადასახადების, ბაჟის, მოსაკრებლებისა თუ სხვა სახის გადასახადებისაგან, რომლებიც დაწესებულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 5

სესხებისა და ფინანსური დახმარებების გამოყოფიდან გამომდინარე, პირებისა და საქონლის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზით ტრანსპორტირებისას, საქართველოს მთავრობა მგზავრებსა და მომწოდებლებს ანიჭებს სატრანსპორტო ფირმების არჩევის თავისუფლებას, არ მიმართავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც გამორიცხავენ ან გააძნელებენ იმ სატრანსპორტო ფირმების თანასწორუფლებიან მონაწილეობას, რომელთა ადგილსამყოფელი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშია და საჭიროების შემთხვევაში გასცემს ამ სატრანსპორტო ფირმების მონაწილეობისათვის სათანადო ნებართვას.

მუხლი 6

ეს შეთანხმება ძალაში შედის იმ დღიდან, როდესაც საქართველოს მთავრობა აცნობებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შეთანხმების ძალაში შესასვლელად აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების შესახებ. განმსაზღვრელია შეტყობინების მიღების დღე.

შესრულებულია თბილისში, *2008 წლის 19 აპრელის* ორ დღიან, თითოეული გერმანულ და ქართულ ენაზე. ამასთან ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

საქართველოს მთავრობის
სახელით



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის მთავრობის
სახელით

